



პრეს რელიზი 17/463
გავრცელდეს დაუყოვნებლივ
6 დეკემბერი, 2017

საერთაშორისო სავალუტო
ფონდი, ვაშინგტონი,
კოლუმბიის ოლქი, 20431, აშშ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაასრულა „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი საქართველოს პროგრამის პირველ მიმოხილვა

- საქართველოს ეკონომიკა იზრდება, 2018 წლის დასაწყისიდან მოსალოდნელია ინფლაციის კლება, ქვეყნის საგარეო პოზიცია გაუმჯობესდა.
- 2018 წლის ბიუჯეტი შემდგომ ფისკალურ კონსოლიდაციას ითვალისწინებს.
- სტრუქტურული რეფორმების გაგრძელება მაღალი და ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზაა.

ამა წლის 6 დეკემბერს, სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ მხარი დაუჭირა საქართველოს სამწლიანი პროგრამის პირველი მიმოხილვის დასრულებას, ფორმალური სხდომის ჩატარების გარეშე (on a lapse of time basis.¹) ამ მიმოხილვის დასრულებისთანავე საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება 30 მილიონი ესდეერი (SDR) (დაახლოებით 42.4 მილიონი აშშ დოლარი). შედეგად, მიმდინარე პროგრამის ფარგლებში მთლიანი ჩამორიცხვა 60 მილიონ ესდეერს (84.8 მილიონ აშშ დოლარს) მიაღწევს. „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი“, 210.4 მილიონი ესდეერის მოცულობით (დაახლოებით 297.5 მილიონი აშშ დოლარი, ანუ საქართველოს ქვოტის 100%), სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს ამა წლის 12 აპრილს დაუმტკიცა (იხილეთ პრეს რელიზი [Press Release No. 17/130](#)).

საქართველოს პროგრამა გეგმის მიხედვით მიმდინარობს. შესრულებულია 2017 წლის ივნისისთვის პროგრამით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმი.

¹ სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ასეთი ფორმით, როდესაც არსებობს წინასწარი საყოველთაო კონსენსუსი, რომ შემოთავაზებულ თემას ფორმალური განხილვა და დისკუსია არ სჭირდება.

საქართველოში ეკონომიკურმა აქტივობამ იმატა, სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური ზრდის აჩქარების ფონზე. მოსალოდნელზე მაღალი ფისკალური მაჩვენებლები და სტრუქტურული გამოწვევების დაძლევისკენ მიმართული ძალისხმევა ნდობის ამაღლებას უწყობს ხელს.

საქართველოს ეკონომიკური ვითარება გაუმჯობესებულია, თუმცა რისკები კვლავაც არსებობს. ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესი ძლიერდება, 2018 წლის დასაწყისიდან მოსალოდნელია ინფლაციის კლება, ქვეყნის საგარეო პოზიცია გაუმჯობესდა. გეგმის გადაჭარბებით მიღებული შემოსავლებით გაჩნდა შესაძლებლობა დაფინანსდეს მეტი კაპიტალური ხარჯი და მოხდეს დღგ-ს ზედმეტობების ანაზღაურება 2017 წელს. საბანკო სექტორი რჩება ლიკვიდური, მომგებიანი და კაპიტალით კარგად უზრუნველყოფილი. პოზიტიური შედეგების მიუხედავად, ხელისუფლებამ უნდა შეინარჩუნოს სიფრთხილე და განაგრძოს რეფორმები, რომლებიც მიმართულია ზრდის ხელისშემშლელი სტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრისკენ.

2018 წლის ბიუჯეტი მიზნად ისახავს ფისკალურ კონსოლიდაციას. ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება, თუმცა კაპიტალური ხარჯი იზრდება. ამის მისაღწევად უნდა გაგრძელდეს შემოსავლების ადმინისტრირების გაძლიერება, განსაკუთრებით, თავიდან იქნას აცილებული დღგ-ს ზედმეტობების დაგროვება. ხელისუფლებამ უნდა შეზღუდოს მიმდინარე ხარჯების, მაგალითად ხელფასების, ზრდა; გააუმჯობესოს სოციალური პროგრამების მიერ მიზნობრივი ჯგუფების წვდომა; შეამციროს სუბსიდიები და სახელმწიფო საწარმოებისთვის კაპიტალის მიწოდება.

საშუალოვადიანი ფისკალური მიზნები, მათ შორის ინსტიტუციონალური ფისკალური რეფორმები, უნდა შესრულდეს პროგრამით გაწერილ ვადებში. სსფ-ს მისია მიესალმება ხელისუფლების გადაწყვეტილებას ფისკალური კონსოლიდაციის ფონზე განაგრძოს ხარჯვა მაღალპრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. საჯარო ინვესტიციების მართვის უკეთესი ჩარჩო მიეხმარება ხელისუფლებას უკეთესად განაგონ საჯარო ფინანსები. ხელისუფლების განზრახვა იმის შესახებ, რომ სრულყოფილად შეაფასონ და დააკვირდნენ ფისკალურ რისკებს, უნდა აისახოს 2018 წლის ბიუჯეტის ფისკალური რისკების დანართში.

საბიუჯეტი პროცესების და ფისკალური ანგარიშგების გასაუმჯობესებლად იგეგმება ფისკალური აგრეგატების მომცველობის და აღრიცხვიანობის ზრდა;

მათში საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ფინანსების ასახვა, ფისკალური წესებთან შესაბამისობის დადგენა, რაც გააუმჯობესებს ფისკალურ გამჭვირვალობასა და ანგარიშგებას.

მონეტარული პოლიტიკა მართებულად ფოკუსირებული რჩება ფასების სტაბილურობაზე, რაც მხარდაჭერილია მცურავი გაცვლითი კურსით და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის გაუმჯობესებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მდგომარეობა არსებული ვითარების შესაფერისია, თუმცა ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს დაკვირვება ფინანსური სექტორის განვითარების, მათ შორის სესხების ზრდის მიმართულებით. საქართველო კარგად იყენებს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს მცურავ გაცვლით კურსთან ერთად. სავალუტო ინტერვენციების გამოყენების არსებული პრაქტიკა უნდა გაგრძელდეს და მიმართული უნდა იყოს მხოლოდ გაცვლითი კურსის ჭარბი მერყეობის თავიდან ასაცილებლად და რეზერვების დასაგროვებლად. საქართველოს ეროვნული ბანკის ნაბიჯები ლიკვიდობის მართვის, ეკონომიკის დედოლარიზაციის და კომუნიკაციის გაუმჯობესების მიმართულებით აძლიერებს მონეტარულ ჩარჩოს.

მისასალმებელია მონეტარული ხელისუფლების ქმედებები ფინანსური სექტორის მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით. შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები სათანადოდ გააფართოებს ცენტრალური ბანკის როლს არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების და საკრედიტო ბიუროების რეგულირებასა და ზედამხედველობაში, გააძლიერებს ბანკების რეზოლუციის ჩარჩოს და უზრუნველყოფს ბანკების ზედამხედველობას კონსოლიდირებულ დონეზე. ასევე შექმნას იმსახურებს ხელისუფლების მცდელობა გააუმჯობესოს კრიზისულ სიტუაციებში ლიკვიდობის მხარდაჭერის საკანონმდებლო ჩარჩო.

სტრუქტურული რეფორმების გატარებაზე მიმართული ღონისძიებები მნიშვნელოვანია მაღალი და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად. ინფრასტრუქტურის დახვეწა და სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერება გააუმჯობესებს ზრდის პერსპექტივებს. გაკოტრების შესახებ ახალი კანონი არასაფინანსო კორპორაციებისთვის და ბიზნეს სახლი ხელს შეუწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას. საპენსიო რეფორმის საფუძველზე გაიზრდება ეროვნული დანაზოგების ხელმისაწვდომობა, რაც წახალისებს ინვესტიციებს, კონტრიბუციის სახით მიღებული თანხების მობილიზირების შემთხვევაში. კაპიტალის ბაზრების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, რესურსების მობილიზაციის ხელშეწყობის გზით, წახალისებს კაპიტალის დაგროვებას. შემდგომი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განათლების რეფორმის პროგრესს.

**ცხრილი 1. საქართველო: შერჩეული ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები
2015–18**

	2015	2016	2017		2018	
	ფაქტიური		პროგნოზი პროგრამის დაწყებისას	წინასწარი	პროგნოზი პროგრამის დაწყებისას	პროგნოზი
ეროვნული ანგარიშები და ფასები	(წლიური პროცენტული ცვლილება, თუ სხვა არაა მითითებული)					
რეალური მშპ	2.9	2.7	3.5	4.3	4.0	4.2
ნომინალური მშპ (მილიარდი ლარი)	31.8	33.9	36.2	37.3	38.8	40.1
ნომინალური მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	14.0	14.3	13.7	15.0	14.9	16.3
მშპ ერთსულ მოსახლეზე (ათასი აშშ დოლარი)	3.8	3.9	3.7	4.1	4.0	4.4
მშპ-ს დეფლატორი, პერიოდის საშუალო	5.9	4.0	4.0	5.4	3.0	3.4
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის საშუალო	4.0	2.1	5.7	5.8	2.4	2.8
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლო	4.9	1.8	5.4	5.6	3.0	3.2
ინვესტიციები და დანაზოგი	(მშპ-სთან პროცენტული შეფარდება)					
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	19.5	19.6	20.5	20.6	22.4	22.5
ინვესტიციები	31.5	32.4	33.4	31.0	34.9	33.1
სახელმწიფო	5.6	5.1	5.8	5.8	6.4	6.5
კერძო	25.9	27.4	27.7	25.2	28.4	26.6
კონსოლიდირებული მთავრობის ოპერაციები	(მშპ-სთან პროცენტული შეფარდება)					
შემოსავლები და გრანტები	28.1	28.4	29.3	28.9	28.6	28.6
მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები	25.1	25.8	26.2	25.9	25.8	25.6
ხარჯები	31.9	32.5	33.4	33.0	32.4	32.0
მიმდინარე ხარჯები	24.9	26.0	25.3	24.7	24.3	24.0
კაპიტალური ხარჯები და ბიუჯეტიდან დაკრედიტება	7.0	6.5	8.0	8.3	8.1	8.1
მთლიანი ბალანსი	-3.8	-4.1	-4.1	-4.1	-3.8	-3.8
წმინდა დაკრედიტება/სესხება (GFSM 2001)	-1.3	-1.6	-1.4	-1.1	-1.8	-1.5
გაფართოებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (პროგრამის განსაზღვრებით) 1/	-2.7	-3.0	-3.7	-3.6	-3.5	-3.0
სახელმწიფო ვალი	41.4	44.6	45.5	42.3	46.7	42.7
მ.შ. ეროვნული ბანკის ვალი სსფ-ს მიმართ	0.6	0.5	1.1	1.0
მ.შ. უცხოური ვალუტით დენომინირებული	32.5	35.2	35.9	33.1	37.3	34.0
ფული და დაკრედიტება	(წლიური პროცენტული ცვლილება, თუ სხვა არაა მითითებული)					
კერძო სექტორის დაკრედიტება (წლიური ცვლილება, %)	22.1	19.6	10.5	10.1	11.2	14.3
მუდმივი გაცვლითი კურსი	4.3	12.0	12.0	15.5	11.2	14.3
ფართო ფული (წლიური ცვლილება, %)	19.2	20.4	10.1	9.8	14.5	15.0

ფართო ფული (მ.შ. უცხოური ვალუტის დეპოზიტები. წლიური ცვლილება, %)	23.4	19.1	8.6	7.9	13.0	13.4
მუდმივი გაცვლითი კურსით	5.1	13.3	11.3	14.7	14.6	15.0
დეპოზიტების დოლარიზაცია (წილი მთლიან დეპოზიტებში)	66.8	69.9	69.0	64.8	68.1	64.1
სესხების დოლარიზაცია (წილი მთლიან სესხებში)	63.1	64.6	61.5	54.7	60.0	54.1
საგარეო სექტორი	(მშპ-სთან პროცენტული შეფარდება, თუ სხვა არაა მითითებული)					
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-12.0	-12.8	-12.9	-10.4	-12.5	-10.6
სავაჭრო ბალანსი	-28.1	-27.0	-44.4	-25.8	-40.3	-26.4
ვაჭრობის პირობები (ფარდობა)	103.1	103.0	101.2	102.2	101.9	102.4
მთლიანი საერთაშორისო რეზერვები (მილიარდი აშშ \$)	2.5	2.8	3.1	3.2	3.4	3.4
სსფ-ს საზომის მიმართ, % (მცურავი)	83.5	86.6	92.5	93.3	96.3	95.2
მთლიანი საგარეო ვალი	103.0	107.8	119.3	106.9	118.6	106.4
მთლიანი საგარეო ვალი, საწარმოთა შორის ვალის გარდა	86.2	89.5	91.7	87.4	90.4	86.5
ლარი ერთი აშშ დოლარის მიმართ (პერიოდის საშუალო) 2/	2.27	2.37	...	2.48
ლარი ერთი ევროს მიმართ (პერიოდის საშუალო) 2/ რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (პერიოდის საშუალო; სამომხმარებლო ფასების მიხედვით, 2010=100)	2.52	2.62	...	2.78
104.0	107.5	

წყარო: საქართველოს ხელისუფლება და ფონდის თანამშრომელთა შეფასებები

1/ გაფართოებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (პროგრამის განსაზღვრებით) = წმინდა დაკრედიტება/სესხება - ბიუჯეტიდან დაკრედიტება.

2/ 2017 წლის მონაცემი წარმოადგენს იანვარ-ოქტომბრის საშუალოს.